**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

01/09/2026

MES 6 26 0001128227

გადაწყვეტილება

სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული განაცხადის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილისაგან განსხვავებული წესის და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 იანვრის №20 დადგენილების პირველი მუხლის 1^1 და 1^3-პუნქტების და ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 89^8-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს 5 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2000-ით.
2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2026 წლის 17 აგვისტოდან.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 01 სექტემბრის № 1136732 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო

ელექტრონული ფორმატი
ეროვნული ცენტრი
ელექტრონულად